№ 132 ივნისი 25, სამშაბათი 1891 ივნისი 25, სამშაბათი № 132

გაზეთი ღირს

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეშართონ: თბილისში რედაქციას, კუკიაში, აგშლალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჯსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო ჰასუხსა მეგებულ იქნება მარტო ამ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

დ. ზ. ბაძრაძის თხზულება

ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—5)

ახალი აქბავი

*** ტფილისში რომ ცალკე გამგეობაა, რომელმაც კავკასიაში მიწების მორწყვის საქმე - ვითარება უნდა განაგოს, ამავე დაწესებულებას მინდობილი ექმნება მოსარწყავი არხები იმ წესით გაიყვანოს, როგორც მეცნიერება მოითხოვს. ამ წლის ზაფხულშივე აპირობენ ერევნის გუბერნიაში და ყარსის მხარეს სარწყავ არხების გაყვანას.

*** საერობო სასანიტარო ექიმებს ახალი საქმეც დაავალეს: ამას იქით სამინისტროს ერთ კლასიანსა და ორ-კლასიანს სასწავლებელსა და აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო სკოლაშიაც ამათი მოვალეობა იქნება, რომ დრო-გამოშვებით თვალ-ყური ადევნონ ხოლმე სასანიტრო საქმეს.

*** ჩვენის მხრის ნავთის მოქიშვე გამოუჩნდა, თუ მართალია ის ხმა, რომელიც გაზ. „ნოვოე კრემია“-ში ამოვიკითხეთ. გაზეთი იუწყება, რომ ქალაქს ქერჩინავთის შადრევანი ამოხეთქილა.

*** სამხედრო სამინისტროს ბრძანება გამოუცია, რომ ამას იქით ოსებისაგან შემდგარს დივიზიაში აფიცრებად მიიღებიან მხოლოდ ცხენოსან ჯარის აფიცრებია.

*** 22 და 23 ივნისს სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასოფლო სასწავლებელში ეყმაწვილების გამოცდა იყო. გამოსაცდეს ყველა განყოფილებათა მოსწავლენი. გამოცდას დაესწრო, ამ სკოლის მზრუნველის, ბ-ნ ი. ი—ძის წინამძღვრიშვილის გარდა, რამდენიმე სხვა საგანგებოდ ამ საქმისთვის ტფილისიდამ წასული კაციც.

დაწვრილებით ცნობას ამის შესახებ ამ დღეებში დავბეჭდავთ.

*** უწმიდესმა სინოდმა ამ დღეებში გარდასწყვიტა, რომ სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლების მოსწავლეთა გამოცდაში მონაწილეობა შეუძლიანთ საეპარქიო განყოფილებათა სამოსწავლო საბჭოს იმ წევრთ, რომელთაც სამაზრო სასწავლებლებში და ან ამის თანაბარს სხვა სასწავლებელში მაინც დაუმთავრებიათ სწავლა, და თუ არც ეს სწავლა აქვთ, სახელმწიფო სამსახურში ან უკვე ყოფილან, ან არიან და რომელისამე კლასის ჩინი აქვთო.

*** ჩვენ მივიღეთ კიდევ 27 მან. და 72 კ. დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულის ფონდისათვის.

ფელეტონი

სიმღერა.

სხვისად რა მეთქმის, ჩემი რომ
მე ვერა გამიგია-რა!?
დახე, ამ სატიალემა
გულმა იქამდის იარა,
სანამ თავისა არა ჰქმნა,
სევდა არ დამაზიარა:
დარდი მაქეს ათი-ათასი,
მაგრამ წამალი-კი-არა!—

დაგწყიავ მონადირისა
ნადირის ხოცვა, ჭერაცა:
დრო იყო, ქარი მიქრიდა,
ნადირს დავდევდი მენაცა;
დაჭრილმა ხარმა დამჩხვერა,
არ მამრჩომია ჯერაცა!

ბაჩანა

თამასუქი

(მოთხრობა დე-ლეპინესი)

თავი I

ქალი

ეს ამბავი, რომელსაც აქ მოგითხრობ, ჩემმ ძვირფასო მეითხველო, რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც მოხდა ერთს პატარა ქალაქს, გრაფის ცოლის ელენე დე-რეველის ჩინებულს სასახლეში. ეს სასახლე ისე იყო მოწყობილი, როგორც მოითხოვდა იმ დროის მოდა; ძველებური და ახალი აერეულობა და მოწყობილობა სახლისა ერთმანეთში იყო არეული და ეს არეულობა მეტად მოსწონდა სახლის-პატრონს, გრაფის მეუღლეს.

გრაფინია დიდის ყურადღებით და დიდისვე გულმოდგინებით იცავდა თავისს სილამაზეს, ისე რომ ჟამმა და დრომ ვერა დააკლო-რა და ვერაკინ ვერ მიხვდებოდა თუ რამდენი წლისა იყო. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ქალაქს ერევანში მცხოვრებს ქართველებს წარმოდგენა გაუმართავთ და ეს ფული იმის შემოსავალია. გამოგზავნით ფული „ნ. ობოზრ.“ რედაქციის სახელობაზე გამოეგზავნათ, ხოლო ამ რედაქციამ ჩვენ გადმოგვცა. ე. ზ. ბაქრაძის ფონდისა აქამდე იყო 1718 მ. 7 კ. და ამიანად იქნება 1745 მ. 79 კ.

*** კვირა ღამეს საქონლის მატარებელს ყაზარმების ახლოს მოუსწრია რკინის გზის ლიანდაგზე მომავალ ივანეს—ძესთვის და გადაუგდია ლიანდაგიდგან ხევში. საბრალოს ორთქლმავალის კიბის საფეხურით სახე დასჭრია და ხევში ჩაგორების შემდეგ მარჯვენა ხელი მოსტეხია და სულ დაქეცილა. ხ—ძე დილამდე ხევში გულ-წასული გდებულა, მინამ სხვებს არ დაუნახავთ და არ წაუყვანიათ სახლში.

*** ტფილისის პოლიციმეისტერის მოადგილე ბ-ნი სოკოლოვსკი საპოლიციო ბრძანებებში სწერს, ტფილისის გამგეობამ მისწერა ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა და ავეკალის გზის კონცესიონერებს, ამას შემდეგ „ცხენის რკინის გზის ვაგონებში ოცდა ოთხს კაცზე მეტი არ ჩასხათო. ეხლა, ნამეტნავად კვირა - უქმობით თითო ვაგონში, როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, ორმოცზე მეტი კაცი ჯდება, ამის გამო ბ-ნი სოკოლოვსკი უბრძანებს პოლიციის ბოქაულებს, რათა პოლიციის მოხელენი დაეხმარნენ ხოლმე კონდუქტორებს იმ დროს, როდესაც ვაგონში ალაგი აღარ არის და ხალხი-კი აწყდება, ზეზე დგება და ჩამოკონწიალებული ვაგონებზე მიდის მუშტაიდში. თუ ვინმე პოლიციის თხოვნას არ შეესმენს, პოლიციამ ოქმი უნდა შეადგინოს და სასამართლოში გადასცეს.

*** ჩრდილო ამერიკის შეერთებულის შტატების მინისტრი-პრეზიდენტი ტროკეტონ ბეალი ამ თვის 22 ბაქოში გაეგზავნა თავისის მდივანის კლარენს ანდრეესონთან. მინისტრი ბაქოში ნავთის წყაროებს დაათვალიერებს და იქიდგან იმიერ კასპის მხარეს გამგზავრება.

*** სპარსეთის ბერლინელი ელჩი გენერალ-ადიუტანტი მათის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰისა მირზა-რიზა ხანი გუშინ-წინ ტფილისიდამ ბაქოში გაემგზავრა და იქიდამ თეირანში წავა.

*** გამოჩენილი კომპოზიტორი ანტონ გრიგოლის ძე რუბინშტეინი გუშინ კოჯორში გაემგზავრა.

*** მთავრობას განუზრახავს მომავალის ენკენისთვიდამ სავაჟო გიმნაზიებში ხელობის სწავლების შემოღება. პირველს ხანებში წიგნის აკინძვისა, დურგლობისა და ხარატობას ხელობა უნდათ შეიმოიღონ და ხელობის ამორჩევა თვით მოსწავლის ნება-ყოფლობაზე იქნება.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ რიონიდამ დეპეშა მოვიდა, ამ თვის 23 ამ სადგურის უფროსის ბ-ნ ლუკაშევიჩის ძაღლმა დაჰკბინა წყლის ამოსატანის მანქანის ზედამხედველი ბ-ნი შუბლაძეო. ძაღლი, ბ-ნ ლუკაშევიჩის ბრძანებისამებრ, მოუკლავთ. ბეითალს გაუჭრია ძაღლის გვამი და ცოფიანი აღმოჩენილა. ამის გამო დაკბენილი შუბლაძე ტფილისის საბაქტეროლოგიო სადგურში გამოუგზავნიათ ცოფის ასაცრელად.

*** ამ თვის 23 რიყეზე იპოვნეს ორი ოთხის დღის დამადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეორე ნაწილ-

— რა დაგემართა დღეს, როზა, რომ თმა სულ დამიგლიჯე და თავი მატკინე!? რაც ვისაბადენიდგან ჩამოვედით, მას აქეთ ყველაფერს უკუღმა აკეთებ: აბა, ამ კაეს შემოჰხედე, რა უშნოდა მკიდია! უწინ არას გეუბნებოდი, ყველას კარგად მიკეთებდი და ახლა...

— უწინ, ქალბატონო, აგრე გაანჩხლებული არა ბრძანებულხართ ხოლმე, უპასუხა მშვიდად როზამ.

სწორედ ზედ გამოჭრილი სიტყვა იყო ეს სიტყვა გოგოსი. ვისაბადენში ელენეს მოსწონებოდა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელზედაც თხუთმეტის წლით უფროსი იყო! ისე მოსწონებოდა, რომ თითქმის გაგიჟებით უყარდა

უწინ ყოველთვის მადლიერი იყო ელენე თავისის გარეგანის შეხედულობით, ყოველთვის ლამაზი და მოხდენილი უბრალო კაბები ეცვა ხოლმე. ახლა-კი გრაფინია იმ სურვილს გეტაცნა, რომ უფრო ლამაზად გამოჩენილიყო, უფრო ძვირფასი და მშვენიერი კაბები სცმოდა, და მეტად უფრთხილდებოდა თავისს პირის-სახეს. ეს იყო მიზეზი გაანჩხლებისა, ეს იყო მიზეზი, რომ ყოველთვის უკმაყოფილო იყო ელენე თავისის თავისა! მოახლემაც სწორედ კარგად უპასუხა თავისს ქალბატონს. ელენემ არა სთქვა-რა.

— დღეს რომ ლამაზი არა ვარ, ჰა! სთქვა ელენემ და სიანჩხლით აიწეწა უფერულად ჩამოშვებული კავი. უჰ, როგორ შემძულდა ვისაბადენი! იქ უთუოდ უნდა ისეირნო, იმიტომ რომ უსაქმობის გამო ყველანი სეირნობენ; მზე და ქარი საშინლად აფუჭებს პირის-სახეს; პარიეში რომ დავბრუნდი, ცხადად დავინახე, რომ ათის წლით დავბერებულიყავ! უჰ!

ისეთის სიმწარითა სთქვა ესა, რომ უცებ წამოხტა, ფეხი ჰკრა ტუალეტის სტოლს, და ყველაფერი, რაც-კი ზედ ეწყო, სხვა-და-სხვა ბიქები, ბოთლები, ფინჯნები, ბანკები,

---

*) ფრანგული ლევრი უდრის ფრანკს, ანუ ექვსს შაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მალილინინის სახლში საქალებო ინსტიტუტის მდივანმა ვარგანოვმა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საქმეთ მაწარმოებელმა ნატარაენიმა გამოაცხადეს, რომ ჩვენმა მოსამსახურემ პეტრე კაზაკოვმა სზვა-და-სზვა დროს მოგვპარა 92 მან. ნივთეულობა და 10 მანეთი ფულადიო. დამნაშავე შეიპყრეს და ზოგი ნაპარავიც უპოვნეს.

არჩილური, ფვიდ-თავი

(საამდროო ამიკანები)

8.

ბონება ერცელი ქადაგი მუშაკობს
სწავლა ხლებული,
ახოვანების ტაძარი, თვით ღვთისგან
ოსტატებული,
ბრძენთა მოძღვართა მოდარე, ამ დროს
ნუგეშად გებული,
რისხვით მგვრგვინავი აეზედა, კარგზედ
მადლ-მოვლინებული,
იგია ქვეყნის მთიები, ზეგარდმო მონა-
თებული,
ენა - განმწონი სიმართლით, სიყვა-
რულ-შეზავებული,
ლომბიერების მთესველი, სამართლით
მოწადებული...
სახეა სათნოებათა, ქველ-საქმე, აზრ-
დიდებული.

„როსტომიანი“

(ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე“-ს ქართულ თარგმანის შესახებ).

ეს ეს არის ეხლა წავიკითხე „ივერიის“ მე-106 ნომერში—„ნოვოე ობოზრენიე“-დგან გადმობეჭდილი ამბავი, რომ ერთს მოყვარეს ქართველის მწერლობისას განუზრახავს „როსტომიანის“-ს დაბეჭდვაო. თუმცა ჩემი დრო და მოცალება სულ სხვა ენასა და მწერლობაზე მაქვს მიჩენილი, მაინც თვალ-ყურს ვადევნებ და სიამოვნებით ამოვიკითხავ ხოლმე, თუ რამ სიცოცხლის მანიშნი გარემობა იჩენს თავს ძველის ქართულის სიტყვიერების სასარგებლოდ. ქართულს ძველს სიტყვერებას ეკუთვნის ქვეყნად ცნობილ სპარსულს „მეფეთა წიგნის“ ქართული თარგმანიც. ამ თარგმანისთვის სტუდენტობის დროს ყურადღება მიმიქცევია და ცოტად თუ ბევრად შემისწავლია და შემიდარებია სპარსულს დედანთან. მკითხველი, იმედი მაქვს, სასტიკად არ მოეპყრობა ამ ჩემს ნაწერს, თუ რამ სისუსტეს შემამჩნევს. ხელახლად მასალის შემუშავება და ზოგიერთ დაუმთავრებელ სიტყვათა დამთავრება დროსა და მოცალის უქონლობისა გამო სრულიად არ შემიძლიან. ამ გვარად ეს ნაწერი მომყავს თავის პირველდელის სახით, ორიოდე სტრიქონის გარდა, სრულიად შეუცვლელად, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ პირველში რუსულად იყო დაწერილი და ახლა ქართულად ვაწოდებ ქართველს მკითხველს. თუ რაც ქვემორე ითქმის, გამოსადეგ ცნობად ეჩვენება ქართულ ძველის მწერლობის მოყვარეთა, ეს მცირედი წვლილი „მექმნეს მადლობის შემწირველობით“, როგორც იტყვის შავთელი, და ნუ დამზრახვენ მისთვის, რაც უთქვიელი დამრჩეს.

სპარსულ თხზულებათა შორის, რომელნიც თარგმნილა ქართულად მეთორმეტე საუკუნეში, პირველ თარგმანად უნდა ჩაირიცხოს „შაჰ-ნამე“. მისი გმირი როსტომი ჩვენ ხშირად გეხვდება საქართველოს ხალხურს ლექსებსა და სიმღერებში; ქართველებს იგი თავის გმირად მიაჩნიათ. აგეთის შეთვისებისთვის უცხოთა გმირისა, თითქმის ეროვნულ, შინაურ სახედ გარაქმნისათვის საჭიროა ხანი. მართალია, ჯერ-ჯერობით შეკრებილს ზეპირთქმულებაში როსტომის შესახებ უფრო ხელ-ახლად გადმოქართველებული, ჩვენმადი მოწევნილ როსტომიანის გავლენას ვპოულობთ, მაგრამ, შესაძლებელია, ძველ მასალას პილოტანის შესახებ, მეთორმეტე საუკუნეში ნათარგმიდგან გავრცელებულს საქართველოში, შეთვისებულს ხალხისგან და გალექსილს დაჰრთოდეს რაიმე ხელმეორედ ნათარგმნისაგან და თან შემთხვევას ჩაეგდოს ზეპირსიტყვაობის შემკრებელთ ხელში მხოლოდ ეგ ბოლონდელი ელემენტი.

სხვა მოსაზრებაც გვეგულება იმავე აზრის დასასაბუთებლად, რომ, თუ უფრო ადრე არა, მეთორმეტე საუკუნეში მაინც უნდა თარგმნილიყოს ქართულად სპარსთა საერო ეპოპეა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართველებს ხსენებულს საუკუნეში დიდად ჰყვარებიათ სპარსული მწერლობა. უკანასკნელის ზემოქმედებას უნდა მიეწეროს, ჩემის აზრით, ის სანუგეშო ამბავი, რომ საქართველოში საეკლესიო და სასულიერო მწერლობას გარდა, საერო მწერლობასაც უჭერნია თავი. ამ საერო მწერლობის ნაშთებში ეპოულობთ ან უსათუოდ სპარსულიდგან ნათარგმ თხზულებათა, ან ისეთებს, რომელნიც საგულვდებელია ნათარგმნი იყოს იმავე ენიდგან. უსათუოდ ნათარგმნთა შორის ვხედავთ ვისრამიანს. ვისრამიანი სიტყვა სიტყვით ნთარგმნია. გურგანელის „ვის-ო-რამინ“-იდგან, რაიცა ცხადად სჩანს ქართულისა და სპარსულის თანაბარ ადგილების შედარებით*). როგორ წარმოვიდგინოთ ბუნების წინაადმდეგი გარემობა, რომ ქართველებს ეთარგმნოთ აგეთი შედარებით ნაკლებ ღირსების თხზულება, როგორც ვისრამიანია, და ფირდოვსის უკედავი ქმნილება უღირსად შეემჩნიოთ და არ გადმოეღოთ თავიანთს დედა-ენაზე?

უბრალო მოსაზრებას გარდა, საბუთიცა გვაქვს მგონი ხელში, რომ მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს გაცნობილი ჰყოლიათ „შაჰ-ნამე“-ს გმირები.

შავთელი, შეასხამს რა თავისს საქებელს გმირს ქებასა, ამბობს (15):

უთრუთ-საამით
ზაადსა ამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა,
სალმამ და თურა,
ძალთ უკეთური,
როსტომ ვერა ვსცან სწორავეს თუ-
რითა?*

იგივე პოეტი მეორე ალაგს (31) დავითისთვის იტყვის:

„მებრძოლთა გუნდნი
ყოველად ჰყენნის ცუდნი,
ხმა როსტომითა უხმენ ძალთა თვის“.

ჩახრუხაძის ლექსებში (11) ვკითხულობთ:

ყარყუმს და არამს,
მით ზედა არანს
როსტომ ებრძოლა თვით შეძლებულად.

რუსთაველი ავთანდილისთვის იტყვის (198):

ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის მკლავ უგრძესითა.

ყველა აქ ხსენებული სახელი: უთრუთ, საამი, ზაალი, სალიმ, თურა და როსტომ „შაჰ-ნამე“-ს გმირთა სახელებია. ვთქვთ, თვით მწერალთ შეეძლოთ სპარსულს დედანშიე გაეცნოთ ფირდოვსის თხზულება და მისი გმირები, მაგრამ პოეტების მხრით შედარებაში ასე ხშირად მოქცევა „შაჰ-ნამე“-ს გმირთა სახელებისა მოსაწვავს, რომ მთელს მაშინდელ ქართველთა მკითხველს საზოგადოებას უნდა სცოდნოდა მათი ვინაობა და მოქმედება. საგულისხმოა, რომ თავისს დედაენაზე-ქართულად ნათარგმნებიდამ ეკოდინებოდა.

მაგრამ თუ მართლა სუფევდა ძველი მე-XII საუკუნის თარგმანი, რა რაჭირო იყო ხელმეორედ მისი თარგმნა? საქმე იმაშია, რომ მეორე ბოლონდელი თარგმანი ლექსად არის, ხოლო ძველად პროზით უნდა ეთარგმნოთ. ვისრამიანიც იყო ხომ თარგმნილი მეთორმეტე საუკუნეში, მაგრამ ამ მე-XII საუკუნის თერგმანს არ შეუშლია ხელი არჩილ მეფისთვის, რომელმაც გალექსა იგივე ამბავი ვისისა და რამინისა, და თვით „შაჰ-ნამე“ თუ მთლად არა, ნაწილ-ნაწილ მაინც, განა მარტო ერთგზის და ორგზის თარგმნილა ქართულად? პირიქით, მრავალ გზის, როგორც აქვე ქვემორე ერთად თავ-მოყრილ ცნობებით გამოცხადდება.

აკაურს საჯარო წიგნ-საცავში (Собраніе князя Грузинскаго № 50) ინახება ქართული ხელ-ნაწერი, კატალოგში ფრიდონიანად სახელ-წოდებული. ხელ-ნაწერი საუბედურედ ნაკლულია. დაცულის ფურცლებიდგან სჩანს, რომ შეიცავს „შაჰ-ნამე“-ს პროზულის თარგმანის ნაწილს, პირველ თავიდგან თურის მოკელამდე მანუჩარის ხელით და ამ ამბის შესატყობლად წერილის გაგზავნამდე მანუჩარისგანვე ფრიდონის მიმართ. ამას გარდა „ომაინიანი“-ს*) შესავალში ავტორი ჭაიხოსრო, წინამორბედი არჩილ მეფისა (721), გვაუწყებს, რომ კედელაურს უქია თურანელნი და როსტომ ზაბელისტნელი არჩილიანის იმ ნაწილში, რომელიც პოეტებს ეხება, და იქვე თქმულია, რომ ბარძიმ ვაჩნაძეს გაუელექსავს საამის ამბავი. „შაჰნავაზიანი“-ს შესავალში ავტორი ფეშანგი როსტომ გმირის შემსხმელად იხსენიებს ვინმე სერაპიონს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ, ადრე თუ გვიან, მეცოდინება თუ არა, შემთხვევა მაინც აღმოაჩენს ზემოხსენებულ პოეტების ნათხზს პილოტანის სადიდებლად. უფრო ღრმა შესწავლამ იქნება ისიც აღმოაჩინოს, რომ ზოგს მათგანს წილი უდევს ჩვენამდე მოწეულს „შაჰ-ნამე“-ს თარგმანში, რომელიც ახლა მთლად მიეწერება ხოსრო თურმანიძეს. ჩვენ დრომდე დაცულა მხოლოდ უკანასკნელი თარგმანი. მისი ორი ხელ-ნაწერი, ახლა იქნება მეტიც, „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავში იპოვება. ერთიც კიდევ ტფილისშივე უნდა იყოს კერძო კაცის ხელში, რამდენადაც ქალაქში ყოფნის დროს შემიტყვია. ქართულის მწერლობის მოყვარეს, რომელსაც როსტომიანის დაბეჭდვა განუზრახავს, უსათუოდ კარგად ეცოდინება აქ მოხსენებულის ტფილისელის ხელ-ნაწერები და ეს სხვანიც და კიდევაც მოახმარს თავისს გამოცემას, მაგრამ ვეჭვობ აკაურ საჯარო წიგნთსაცავის ხელნაწერზე რაიმე ცნობა ჰქონდეს. ხელნაწერი-კი ყურადღების ღირსია და დიდადაც სასურველი, გამომცემელმა ისარგებლოს იმის შინაარსითაც. პეტერბურგში იმყოფება ქართველი სტუდენტობა და მათში, იმედია ამოირჩევა ისეთი ანუ ისეთნი, რომელთაც შეეძლოთ გადმოწერა აკაურის ხელნაწერისა აწ უკვე გადმოწერილთან შეთანხმება და ვარიანტების აღნიშნვა.

ნ. მ.

პეტერბურგი.

(შემდეგი იქნება)

თელავის ამბები

I

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 131).

სახლისა და მაზრის უფროსის ავეჯეულობის დაწვით რომ დაბოლოვებულიყო ზარალი, კიდევ არაფერი გვეთქმოდა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ კერძო გვამის სიმდიდრესთან დაიწვა მთელის კახეთის სიმდიდრეც, ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენთვის და ჩვენის სახელისა და ყოფა-ცხოვრების დაფასებისთვის დიდს მასალას შეიცავდა. ჩვენ მოგახსენებთ არხივის დაწვაზედ. აქ იყო ერთად შეკრებილი ორის მაზრის საქმეები—თელავისა და სიღნაღისა წარსულ საუკუნიდამ დაწყებული ამ საუკუნის თითქმის ნახევრამდე. მრავალი იყო აქ ჩვენი ძველი გუჯრები და სიგელები, ბეჭედნი, ბრძანებანი, ფარმანები, ფეთვები, ბალიანები, ბეგარანი, ბეგარა-ბეგარა, ბეგარა-ბეგარა, ბეგარა-ბეგარა

ლები, და სწორედ ეს ნაწილი არხივისა დამწვარა სრულიად. რაც გადურჩენიათ, ეს უფრო ახალს დროს შეეხება, ვიდრე ძველსა. მე თვით ვერ წარმოვიდგენდი, რომ სრულიად ვერ გადაერჩინათ არხივი, რადგან ეს იყო მოთავსებული ქვემო სართულში და, ვიდრე ზემოდამ ცეცხლი ჩაატანდა, ადვილად შეიძლებოდა გადარჩენა, მარჯვედ და გულ-მხურვალედ რომ მოჰქცეოდნენ ამ საქმეს. მაგრამ რა გულ-მხურვალებას გამოიჩენს იმისთანა მოხელე და განკარგულების მიმცემი, რომელიც ქვებით ერეკება ხალხს სახლიდამ კარში, ვითომ იმ კაცთ-მოყვარეობით, რომ ცეცხლში არავინ დამწვარიყო. ჩვენის შეხედულობით-კი, ისა სჯობდა, ერთი ორი კაცი თავ-გამოდებით გარჯილიყო და როგორმე გადარჩენილიყო ეს ჩვენს ისტორიისთვის ძვირფასი განძი. ცეცხლი და მტერი ერთია. ერთნაირის პატივისა და ჯილდოს ღირსია, როგორც ომში მოკლული, აგრეთვე ცეცხლში დამწვარიც თანამომძეს გულისთვის.

ალბად ესეთი ყოფილა წერა ანუ ბედი ამ არხივისა, ჩვენი კეთილ-მორწმუნე ხალხის თქმისა არ იყოს, მაგრამ კაცმა საქმე მოაგვაროს, ვეტჰ ჰმუნვასა ესა სჯობდესო, გვირჩევს ამისთანა სამწუხარო შემთხვევის დროს უკვდავი რუსთაველი და საფუძვლიანადაც გვირჩევს. მწუხარებასა და ვაებას ისევ საქმის გაუმჯობესობა უნდა სჯობდეს. მაზრის უფროსი დამწვარს სახლში სამს განსაცდელს გადარჩა: აიკანს, რევოლვერს და ცეცხლს. მართალია ეს უკანასკნელი ძვირად არის დამჯდარი და ძნელად გასაქარვებელი, მაგრამ არც თვით თელავი გადარჩომილა უზარალოდ ცეცხლილისაგან. ესეთი ზარალი თელავისთვის პირველი არ არის, ჩვენ გვახსოვს ამისთანა შესანიშნავი შემთხვევა სამი: თ. რ. ი. ანდრონიკაშვილისეულის სახლების დაწვა რიყის პირას, მეორე—იერონიმე მესხიშვილისეულის სახლისა, რომელიც დაწვის დროს და ახლაც ეკუთვნის ბ-ნს ლეონიძეს და მესამეც, ეს ახლად დამწვარი სახლი. მაშ რა უნდა იღონოს თელავმა, რომ უზრუნველ ჰყოს თავისი თავი ამისთანა მუდმივ, განუყრელ და მოულოდნელ მტრისაგან? ვგონებ, კეთილგონიერის თელაველებს ეს უნდა აფიქრებინოს აწინდელმა

თეორის ქალის ნაზს მაჯას და დაეწყო ნაზად კოცნა.

— დღეს მშვენიერი ხართო! სთქვა ყმაწვილმა კაცმა.

— მით უფრო კარგი! მხიარულად უპასუხა ელენემ.

შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა: ეტლი და ცხენი სტუმრისათვის მზად გახლავთო.

— მაშ მივდივართ?! სთქვა გრაფინამ და სანამდისინ როზა წამოასხამს წამოასხამდა, დასძინა:

— ძლივს... ამ საღამოს მთელი პარიჟი შეიტყობს ჩვენს ბედნიერებას!

ფრანცი, რომელიც კარებთან მიბრუნდა გასასვლელად, უცბად მობრუნდა.

— ძლივს! ჰმ!...

— ძლივს?!... ფერ-მკრთალად იკითხა გრაფინიამ.

— მე უნდა მეთქვა, ნაზის ხმით დაიწყო ფრანცმა, რომ ჩემი ბედნიერება არ მინდა სხვას გავუზიარო მეთქი, მაგრამ მიბრძანეთ ერთი, ჰშვენიერო ელენე, რა არის განა, რომ უთუოდ დღეს უნდა შეიტყოთ...

— იმიტომ-რომ ამ საღამოს მე და შენ ერთად გამოვჩნდებით საზოგადოებაში. ვინც იმ საზოგადოებაში იმყოფება, რომელშიაც მე ვარ, იმისთვის ჩვენი გამოსვლა ერთად, იმას ჰნიშნავს, რომ ვითომც ყველა მოწვეული ყოფილა ჩვენს ქორწილში.

— ჰო-და რას იტყვის ეს საზოგადოება?.. კილვას და კიცხვას დაგიწყებენ, რომ ჩინებული გრაფის გვარი გასცვლეთ...

— იმ კაცის სახელი, რომელიც გიყვარს და რომელსაც უყვარხარ, ყოველს სახელსა და გვარსა სჯობია, ჩემო ფრანც. ამიტომაც ჩემი ბედნიერება უფრო შეუურდებათ და სანანებლად-კი თავსაც არ შეიწუხებენ.

— აგრე თუ არის... მაშ წავიდეთ! სთქვა ფრანცმა, სიყვარულით შეჰხედა ბედნიერს ელენეს, მოჰკიდა ხელი და გავიდნენ ერთად.

როზა მარტო დარჩა ოთახში, რა-

შემთხვევამ: დრო არის, მთელმა თელავმა მხნედ გამოიდოს თავი და შეუდგეს ერთგულად თვით-მმართველობის საქმეს. ის ფიქრი, რომ თვით-მმართველობისათვის უფრო ბევრი ხარჯი დაგვჭირდებაო, არ უნდა აბრკოლებდეთ შრომისა და თავისს თავზედ ზრუნვის მოყვარე მცხოვრებთ. თუ აქამომდე ამ გვარს ზრუნვას ვერ მისჩევიან, ვერც შემდეგ მიეჩვევიან, ვიდრე თვით საქმე ძალას არ დაატანს და უნებლიედ არ მიაჩვევს ამისთანა ზრუნვა-ფიქრს. იმას ხარჯი არა ჰქვიან, როდესაც ხარჯს სამაგიერო ნაყოფიც მოაქვს; ეს არის მხოლოდ გონივრული ვაჭრობა, აღებ-მიმცემობა. ვინ მოსთხოვს თელავს, რომ გაუმკლავდეს ხარჯში პეტერბურგს, მოსკოვს და ტფილისს. ხარჯი უნდა შეუფარდოს თავისს ქონება-შემლებას. თუ ვალს ვიტყვით, რა ახლა არის თელავი ვალისაგან თავისუფალი, თუმცა თვით-მმართველობა არა აქვს შემოღებული. მოგება ის დარჩება, რომ მიეჩვევა თავისს თავზედ ზრუნვა-ფიქრს. თუ ამის განხორციელებას მოისურვებს თელავი, რაღა თქმა უნდა, ესევე იქმნება დამწვარს ქონებასა, სახლსა და არხივზედაც ზრუნვა, რადგან ცეცხლის წინაღმდეგაც იზრუნებს თვით ქალაქის საბჭო.

ამ ახალმა შემთხვევამაც რომ არ აფიქრებინოს თელაველებს ცეცხლისაგან დაცვა, თვით ამ საქმის ახლანდელი ვითარება აიძულებს, რომ კარგად მოაწყონ შენობათა გადარჩენა ცეცხლისაგან. შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, შემდგარია ახლა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საშუალებანი შენობათა გადარჩენისა ცეცხლისაგან. ამ კომისიას ეს საგანი თითქმის შეუუშავებია და მთავრობასაც განზრახვა აქვს, შემოიღოს ისეთი წესები, რომელთა დედა აზრიც გამოხატულია შემდეგის ოთხის მუხლით:

ა) როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო ქალაქებში შენობათა გადარჩენის საქმე ცეცხლისაგან მიენდობა გამოკიდილთა და დახელოვნებულ კაცთა. ამათგან შესდგება ცეცხლისაგან დამცველი საბჭო, რომელმაც უნდა იზრუნოს ყოველგვარ საქმისთვის ცეცხლის შესახებ: დაბეჭდოს ყველასთვის საავლდებულო წესები შესახებ შენობათა გაკეთებისა, ბუხრის მილების გაწმენდისა და განახლებისა, შენობათა შემოწმებისა, ხეების დარგვისა ქუჩებსა და ეზოებში; ხოლო შესასრულებლად ყველა ამ საშუალებათა უნდა მიენდოს ზედამხედველობა საკუთარს მეთვალყურეებს.

ბ) ცეცხლის მქრობელი რაზმი უნდა იყოს დაწესებული არა მხოლოდ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში, არამედ თითოეულს სოფელშიაც. რომ ეს უკანასკნელი საშუალება შესრულებულ იქმნას, ცნობილია საჭიროდ, რათა წინაპირველად გაკეთდეს ცეცხლის მქრობელი სადგური თითოეულ სოფლის შუაგულს ადგილას; თითოეულს სადგურზედ უნდა იყოს ორი წყლის შესაშხაპუნებელი ლული და ყოველ გვარი საჭირო იარაღი; ამასთანავე სოფლის ყრილობამ უნდა ამოირჩიოს თავის შორის რამდენნიმე მეთვალყურე, რომელნიც უნდა ცდილობდნენ, რათა ეს საქმე კეთილად წარიმართოს.

გ) თითოეულს სოფელში უნდა დაწესდეს ღამის ყარაული, ხოლო მუშაობის დროს დღისაც.

დ) მაზრის უფროსი მოვალეა, თვალყური ადევნოს, რათა დამწვარ სახლების განახლების დროს და აგრეთვე ახლად აშენების დროსაც იყოს დარჩომილი ცალიერი ადგილი სახლსა და სახლს შუა ანუ თითოეულ შენობათა შორის 4—8 საჟენამდე, ხოლო ქუჩას ჰქონდეს სიგანე 8—10 საჟენი. ცეცხლის მქრობელ სადგურების მოსაწყობად პირველად თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო ნივთიერად დაეხმარება, ხოლო ბოლოს ზემოხსენებული წესები ჩაიწერება ახალს ცეცხლის მქრობელს წესდებაში და სავალდებულო შეიქნება თითოეულის სოფლის საზოგადოებისათვის.

ვისურვებთ, რომ ამისთანა წესები ჩქარა შემოღებულიყოს ჩვენს სოფლებში, ხოლო თელავი, როგორც ახლანდელი სამაზრო და უწინდელი სატახტო ქალაქი გამოსჩენოდეს მთელს ჩვენს მხარეს წინამძღოლად, გზის მაჩვენებლად, როგორც გამოცდილი და განვითარებული მამა თავის მოზაღიდ და სიცოცხლით სავსე შვილებს.

ამ საზარალო და სამწუხარო ცნობით ვათავებ ამ პირველს ჩემს ნაწერს, ხოლო შემდეგისთვის სხვა იქნება.

ძველგალავნელი

რუსეთი

ვარშავის ექიმებს განზრახვა აქვთ, დიდი სასწავლებელი დაარსონ ბელის ექიმობისა. ამ სასწავლებლის დაარსების საქმეში მონაწილეობას იღებს, ხუთს ექიმს გარდა, ორი შეძლებული, ფულიანი კაციც.

—უმთავრესი საზოგადოება რუსეთის რკინის გზებისა, შემოდგომისათვის სადეპეშო სამსახურის სასწავლებელს აარსებს, რათა ყმაწვილი კაცები მოამზადოს ტელეგრაფის სადგურებზედ მოხელეობისათვის.

— პეტერბურგის ვაჭრებს ერთი კარგი აზრი მოსვლიათ. ეს კარგი აზრი ის არის, რომ განუზრახავთ კოლონია დააარსონ ნოქრებისათვის. ამ კოლონიებში უნდა გაჰგზავნონ ხოლმე სამისა და ოთხის კვირით ის უცოლო ნოქრები, რომელნიც სუფთა ჰაერს ზაფხულში სრულიად მოკლებულნი არიან. ნოქრები აგარაკად თავისის უფროსების, მაღაზიების პატრონების, ხარჯით უნდა გაიგზავნონ. პირველში ოც-და-ხუთის კაცისათვის უნდა დააარსონ ეს კოლონია და ანგარიშითაც, როგორც გამოთვლილი აქვთ, თითო კაცს აგარაკის ქირისა, მოსამსახურისა, საჭმელ-სასმელისა და სხ. ოცი მანეთი დასჭირდება. ერთი ვაჭარი მიწას უთმობს ორანიენბაუმს ახლო ამ ფრიად მოსაწონ და სასარგებლო აზრის განსახორციელებლად.

— ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფ. კლიუჩიშაში რაღაც ახირებული სენი გაჩენილა. ამ სენით შეპყრობილს პირველში ჯერ ხელებსა, ან ფეხებზედ სიმსივნე აჩნდება, შემდეგ ეს სიმსივნე სახსრებამდე უწევს და კუტდება და დამძლავდება. ამ ჟამად ამ უცნაური სენის გამო ოცდა-ხუთმეტამდე კაცი უხელ-ფეხოდ არის თურმე დარჩენილი.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან ყველა კლასიკურს გიმნაზიასა და ს.-პეტერბურგის ოლქის სხვა საშუალო სასწავლებელში განზრახვა აქვთ განსაკუთრებული კომისია შეადგინონ, რომელშიაც სამი ექიმი უნდა იყოს, და ამ კომისიას მიანდონ იმის განხილვა, თუ რა ჯან-საღობისანი და ფიზიკურად რამდენად განვითარებულნი არიან მოსწავლენი.

— სახელმწიფო ქონებითა სამინისტროს ცნობებიდგანა სჩანს, რომ ცხვრის მოშენების საქმე თანდათან უკან იწევს სამხრეთს რუსეთში და სამაგიეროდ ფეხს იდგამს დონის ოლქსა, შავის ზღვის ოლქის აღმოსავლეთს ნაწილსა და ჩრდილოეთს კავკასიაში. ხვნა-თესვის განვითარებამ სამხრეთს გუბერნიებში დიდად შეამცირა სიძოვარი და მოუხნავი ადგილები, რის გამოც ამ მხრიდგან მატყლი მცირე მოდის და, პირ-იქით, თუ მატყლის წარმატება ფეხს იკიდებს სადმე, ისევ იქ, სადაც თავისუფალი ადგილი ბევრია და მიწა ძვირად არა ჰფასობს. თავისუფალი, გუთან-გაუტარებელი მიწა - მამული ბევრია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთს რუსეთსა და ჩრდილოეთს კავკასიაში, სადაც მშვენიერი სძოვარი ადგილები მოიპოვება.

წვრილი ამბავი

ამ წარსულს კვირის წინა სწორედ ამერიკელორმა ვიდეკლამ მეკლესია გამართა ზაარშენდის მიებში. ამერიკელორი და მისი მეუღლე ეტლით მიეიდნენ სამეკლესიო ადგილს; მოწვეულნი იყვნენ მრავალნი პოტსდამის კარის-კაცთაგანნი. ეკლესიაზე წინად მიეიდნენ მზარეულები და სტუმრებები მიაღანეს. როცა ამერიკელორი მიეიდა თავისის მეუღლეთურთ, მზარეულებმა სტუმრები გადმოადგეს და ზოგს ხარშავ და ზოგ ფუა დაფუეს და ზოგიც, რადგან ეკეკ მომზადებული იყო, მხოლოდ გასაცხელებლად-და შედგეს ცეცხლზედ. დრო-გამოშეებით თვით ამერიკელორი მეიდოდა ხოლმე მზარეულებთან და ეცინა შეშის ეკეკებდა და ასწორებდა. ამ დროს განმავლობაში-გა ქალაქში შეიტყეს, მთებში მოსულან ამერიკელორი და მისი მეუღლეო, და ამის გამო ჯარებელი ხალხი მიაწყდა სამეკლესო ადგილს: ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, სულ იქით გაისკეტა. დედოფალმა ასაგზავნებლი დაარნა და სხვადა-სხვა თამაშობები გამართა. ეამარჯეკუნელები სასეიერნს ალაბდნენ, მაგრამ მხოლოდ ერა უმეტეს სამის მარგასა. მეკლესია მაშინ დასრულდა, როცა კარგად შებინდდა.

— ერთხელ ინგლისის მეფე გეორგი მესამე გუმთი მოდიოდა ინგლისში რომელისაღაც სასეკლესიოფოდან. უეცრად სამინელი ქარტეხილი ასტეფდა და ზღვაშ ღელვა დაიწყო. ზღვა თან-და-თან უმა-

---

სამსახურენი ყველანი გამოსცვალაო, უპასუხა როზამ.

— შენს გარდა, მგონია.

— ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მოვშორდები ქალბატონს.

— ჰო, უყვართ შენი ქალბატონი, მწუხარებით წარმოსთქვა ბარონმა და როზამ შეამჩნია, რომ თვალებში ცრემლის კურცხალიც - კი გამოაჩნდა.

— ქვემოდ მოსამსახურე შემხვდა, დაიწყობა რონმა: ტ მითხრა, რომ გრაფინია სხვაგან წავიდაო.

— დიაღ, ეს არის ბულონის ტყეში წაბრძანდა.

— და წაბრძანდა, რასაკვირველია თავისის ქალით, ჰკითხა ბარონმა და შეაცქერდა როზას: ჩემის მშვენიერის ნთლულით? რა გალამაზდა? დედას, ჰგავს, არა?

— მშვენიერია, მაგრამ..

— რაო? გაიწყვეტინა სიტყვა ბარონმა.

— მაგრამ... დაბნეულად წარმოსთვა გოგომ: დღეს... ქალბატონს მარტოკასა ჰნახავთ... ლეიზა ჯერ არა გხლებიათ საკრე-კიორიდამ...

— როგორ? ახლა ხომ თექვსმეტის წლისაა.

— დიაღ... მაგრამ... საზოგადოებაში გასვლა ჰლალავს... და... სუსტის აგებულებისაა... გარდა მგონია... ქალბატონი უნდა წასულიყო...

— ააა! ვიცი, ვისბადენში უნდა წასულიყო...

— მაშ იცით...

— ბევრი რამ ვიცი, ჩემო კარგო, და დანარჩენს კიდევ შენ მიამბობ.

— ბატონო... ქალბატონი დამითხოვს...

— არავის ვეტყვი, მენდე! გახსოვდეს, რომ ქალბატონის ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული. ღმერთმა ქნას, რომ ჯერ დაგვიანებული არ იყოს! დაუმატა დაბალის ხმით ბარონმა.

(შემდეგი იქნება)

ტუნდა ლეკვის და ბოდოს იქამდე მიეცდა სავქმე, რომ კაპიტანს ი